



MES 6 22 0001467504



17/11/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 3 ნოემბერს**.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ივანე აბაშიძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

7. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. გაია ლობჯანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

9. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

10. ელენე ჟურავლიოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

11. ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს "ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;

12. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

13. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	გვანცა ძიმიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ედვინი სირბილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

კონსტანტინე თოფურია - რექტორი

არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სოსო გოგილიძე - პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში

ქეთევან გეგიაძე - საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი

თეონა შუმტაკაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი

ლუკა ბერაია - ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

2. პს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი

რ. მაიკლ ქაუგილი - უნივერსიტეტის პრეზიდენტი

ზაზა რუხაძე - უნივერსიტეტის ვიცე - პრეზიდენტი სასწავლო - სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში

ქეთევან ჯინჭარაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

1. დიანა მჭედლიშვილი
2. ია მოსაშვილი
3. სალომე ვორონოვი
4. დავით სიხარულიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა - გააგა გვენეტაძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალია ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელდა. მისი თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და თვითშეფასების ანგარიშს გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. მათ დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები, რომელიც შედგებოდა თოთხმეტი პუნქტისგან. ამ დოკუმენტების გამოთხოვის მიზანი იყო ის, რომ ექსპერტებს კარგად შეესწავლათ რეკომენდაციების შესრულების საკითხი. დიანა მჭედლიშვილის თქმით, წინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული იყო 35 რეკომენდაცია, რომელიც გადანაწილებული იყო 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 3.1, 3.2, 3.3, 4.1, 5.2, 6.1, 6.2, 6.3 და 7.3 კომპონენტებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებამ 35 რეკომენდაციიდან 24 სრულად შეასრულა, 3 მეტწილად შეასრულა, 5 ნაწილობრივ შეასრულა, ხოლო 3 არ შეასრულა. აქედან გამომდინარე

დამატებით განისაზღვრა 10 რეკომენდაცია. ექსპერტ ია მოსაშვილის თქმით, დაწესებულება როდესაც ახორციელებს ინგლისურენოვან პროგრამებს, სტუდენტისთვის ყველა საშუალება ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ეს ეხება ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ნაწილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია, ხოლო ნაწილი არ არის შესრულებული, რომლის მიზეზი არის ის, რომ სტანდარტი ამას არ მოითხოვს. ინსტიტუციის თქმით, პირველი სტანდარტი ეხება უსდ-ს მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას, რომლის მიხედვით ახალი სტრატეგია მეტად მკაფიოდ უნდა დაუკავშირდეს წინა სტრატეგიას, რათა უკეთესად მოხდეს მიღწეული პროგრესის გააზრება. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ მათ აქვთ „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილი არის ის თუ როგორ ხდება სტრატეგიული დაგეგმვა, ანალიზი, გადახედვა და წინა სტრატეგიებთან შედარება. ინსტიტუციის თქმით, თუ რატომ შესრულდა ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ არის ის, რომ მათ არა აქვთ დოკუმენტი, რომელიც შეადარებს წინა წლების სტრატეგიულ დოკუმენტებს. ასეთი დოკუმენტის არსებობას არ ითხოვს სტანდარტი. დაწესებულების განმარტებით, თუ ვინმე დაინტერესდება წინა წლების სტრატეგიებით, არის მათი წარმოდგენის შესაძლებლობა. ასევე შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას სხდომის ოქმები, სადაც ასახული არის სხვადასხვა დროს სტრატეგიულ გეგმებში ცვლილებების შეტანა და ანალიზი. დაწესებულების თქმით, ისინი არ წარადგენენ ისეთ დოკუმენტს, რომელსაც ერქმევა „საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმების რეტროსპექტიული ანალიზი“. მეორე რეკომენდაცია ექსპერტთა მიერ ნაწილობრივ შეფასდა, რომელიც ეხება პოლიტიკის დოკუმენტებისა და წლიური გეგმების შემუშავებას თითოეული ინტერესის სფეროსათვის. ინსტიტუციის წარმომადგენელი განმარტავს, რომ პირველი სტანდარტი არ მოითხოვს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, მაგრამ შესაძლებელია მომავალში შესრულდეს. დაწესებულების თქმით, ეს არ შეიძლება წარმოდგენდეს ხარვეზის საფუძველს. ამას არ ითხოვს 1.1 და 1.2 სტანდარტი. სხვადასხვა პოლიტიკის მარეგულირებელი ინფორმაცია უნდა იყოს სხვადასხვა აქტებში, რომელიც არის მოცემული. მესამე რეკომენდაცია ექსპერტთა მიერ შესრულებულად არ შეფასდა. ის ეხება პირველ სტანდარტს. ინსტიტუციის თქმით, ისინი ვერ ხვდებიან რას გულისხმობენ ექსპერტები მაღალი ხარისხის განათლების ხელახლა განსაზღვრასა და უნივერსიტეტის პოზიციის და შესაძლებლობის შესახებ რეალისტურ ხედვაში. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა ხელმისაწვდომი ანალიზების გამოყენებას, რომელიც ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესრულებულად. დაწესებულების თქმით, 1.1 და 1.2 სტანდარტი არ მოითხოვს იმას, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს SWOT და PEST ანალიზები გაკეთებული. „საქართველოს უნივერსიტეტს“ გაკეთებული აქვს სტრატეგიულ გეგმაში ყოველი წლის SWOT და PEST ანალიზები. ინსტიტუცია ფიქრობს, რომ მაქსიმალურად გამოყენებული აქვთ ეს ანალიზები. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა აგებულია ისეთი პრინციპით, რომ არის ხედვა და გაცნობიერებულია არსებული სიტუაცია ამ ანალიზების მეშვეობით. დაწესებულების თქმით, ექსპერტები ითხოვენ უზრუნველყოფას იმისას, რომ განათლება და კვლევა მუდმივად უნივერსიტეტის ბირთვს წარმოდგენდეს, როგორც ეს მსოფლიოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია. ინსტიტუცია ვერ ხვდება რა იგულისხმება ამ წინადადებაში „განათლება და კვლევა მუდმივად უნივერსიტეტის ბირთვს წარმოდგენდეს“. უნივერსიტეტი არის საგანმანათლებლო კვლევითი ორგანიზაცია, რაც იმას ნიშნავს და ლოგიკურია, რომ განათლება არის ძირითადი ბირთვი დაწესებულების. უნივერსიტეტის მისიაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება. ცოდნის წარმოება კი ნიშნავს კვლევით საქმიანობას.

დაწესებულების წარმომადგენელი, არჩილ ჯანგირაშვილი აღნიშნავს, რომ დიდი ნაწილი რეკომენდაციებისა არის გათვალისწინებული და შესრულებული მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა ნაწილი რეკომენდაციის მიმართ თავისი შეხედულება. არის რამდენიმე გამონაკლისი 1.1 და 1.2 სტანდარტთან მიმართებაში. მათი თქმით, „კულტურის საკითხი“ რთული საკითხია იქიდან გამომდინარე, რომ ვიზიტისა და ხალხთან გასაუბრების გარეშე დადგინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის თუ არა ხარისხის კულტურა. „კულტურის საკითხი“ ქართული და საერთაშორისო ლიტერატურის მიხედვით განმარტებულია იმგვარად, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველას უნდა ესმოდეს ის, რომ მისი როლი ხარისხის შექმნაში არის მნიშვნელოვანი. დაწესებულების წარმომადგენელი მადლობას უხდის ექსპერტთა ჯგუფს იმაში, რომ მათ დაადასტურეს PDCA-ის მუშაობა უნივერსიტეტში.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უფლებამოსილება არ გააჩნდათ წინა რეკომენდაციების განხილვისა. ძირითადი მიზანი იყო ის თუ როგორ შეასრულა დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაციები. არის რეკომენდაციები, რომლებსაც გააჩნია ზოგადი დატვირთვა და განსხვავებული მიდგომა სჭირდებათ. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე განმარტავს, რომ ვერ დაწერდნენ იმას, რაც არ იყო გაკეთებული. დაწესებულებას ნახევარზე მეტი რეკომენდაცია შესრულებული აქვს, რაც მისასალმებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტები მისდევნენ წინა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, რეკომენდაციების ნაწილი რჩევაში უნდა იყოს, რათა არ მოხდეს განსხვავებული გაგება. SWOT ანალიზი მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, რომლებიც ახასიათებს PEST ანალიზსაც. მისი აზრით, გაუგებარია რატომ არის PEST ანალიზი SWOT ანალიზთან, რომელიც ერთიდაიგივე საკითხს მოიცავს. მისი აზრით, დაწესებულებას არ უნდა მოვთხოვოთ ის რაც სტანდარტით არ არის გათვალისწინებული. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობდა პროექტში - “Quality Culture”, სადაც არ გაკეთებულა კონკრეტული განმარტება „ხარისხის კულტურის“ შესახებ. მისი თქმით, დაწესებულებას სწორი განმარტება აქვს ამ საკითხზე.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა აღნიშნავს, რომ კარგი იქნება თუ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები 3 ძირითად რეკომენდაციასთან დაკავშირებულ შეკითხვებს გასცემენ პასუხს. მისი თქმით, რეკომენდაცია იყო, რომ ჩაიდოს ინვესტიცია ხარისხის კულტურის კიდევ უფრო განვითარებაში, მისიის განაცხადის გადახედვით და ხარისხის კულტურის ცნებაზე დისკუსიის დაწყებით. მას აინტერესებს რა ტიპის ინვესტიციის მტკიცებულების გამოთხოვა მოხდა უნივერსიტეტისგან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია, რომ პერსონალი არის შეფასებული. იგი დაინტერესდა თუ შეფასდა პერსონალი, მაშინ რატომ ჩაითვალა რეკომენდაცია შეუსრულებლად. ელენე ჟურავლიოვამ ასევე დაინტერესდა უნივერსიტეტს თუ აქვს კვლევის სტრატეგია და გეგმა.

საბჭოს წევრმა ივანე აბაშიძემ აღნიშნა, რომ არის რიგი საკითხები, რომლებზეც წინა საბჭოზეც იყო მსჯელობა. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები არის ე.წ. მიმთითებელი რეკომენდაციები. ნაწილი რეკომენდაციებისა შეიძლება რჩევაში გადავიდეს. მისი თქმით, სტრატეგიების ურთიერთკავშირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმიტომ, რომ ის ეფუძნება დაწესებულებაში პროცესების განვითარებას. სტრატეგიების ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებელია “Management Review”-ს მეშვეობით, სადაც არის შეხვედრის ოქმი და წარმოდგენილი იქნება მტკიცებულება, რომელშიც დადასტურდება არის თუ არა ამ სტრატეგიებს შორის კავშირი. თუ ასეთი დოკუმენტი არსებობს დაწესებულებაში ეს პრობლემა არ უნდა გამოიკვეთოს. მეორე საკითხია “Management Review”-ს ხარისხი, რომელზედაც დაწესებულებამ პასუხისმგებელი. საბჭოს წევრი, ივანე აბაშიძე დაინტერესდა არის თუ არა “Management Review” გაკეთებული. და თუ არის “Management Review” გაკეთებული რამდენად ფარავს ის წინა რეკომენდაციებს. პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს,

რომ ამ დოკუმენტთან ხარისხის ზოგადი მიდგომა არსებობს. ეს შეიძლება იყოს სტანდარტიზებულიად "ISO"-ში განსაზღვრული. მისი თქმით, ამ დოკუმენტთან არის მიზნული ხარისხის მიზნები. მას აინტერესებს, არის თუ არა ასეთი დოკუმენტი და განხორციელდა თუ არა შეფასება რეკომენდაციის იმპლემენტაციის დროს და მოხდა თუ არა წინა რეკომენდაციებთან დადარება. ის ასევე დაინტერესდა თუ რა იგულისხმება უნივერსიტეტის რეალურ შესაძლებლობებში. მისი თქმით, საინტერესო იქნება თუ დაწესებულება დამატებით განმარტებას გააკეთებს განათლებასა და კვლევასთან დაკავშირებით, რადგან ისინი უნივერსიტეტის ბირთვს წარმოადგენენ. ივანე აბაშიძის თქმით, ზოგჯერ ექსპერტს უჭირს დასაბუთება შენიშვნის კონკრეტულ საკითხთან მიმართებით იმიტომ, რომ არ აქვს ამის მტკიცებულება, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ საბჭომ იცოდეს.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ ექსპერტებსა და ინსტიტუციას მიმართა კითხვით თუ რატომ იყო დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა საჭირო. მისი თქმით, შპს საქართველოს უნივერსიტეტს სტუდენტთა კონტიგენტი დიდი აქვს და ჰყავს მრავალრიცხოვანი უცხოელი სტუდენტები. მას აინტერესებს რამ განაპირობა ინგლისურენოვან გვერდზე ქართულენოვანი ინფორმაციის არსებობა. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც წარმოადგენს დოკუმენტს და ექსპერტები იცნობენ მას. ამ დოკუმენტში აღწერილია როგორ ხდება შპს საქართველოს უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმარება, როგორია მისი ფაზები და ეტაპები. როგორც ინსტიტუტია აღნიშნავს, სტრატეგიული დაგეგმარება არის ხანგრძლივი პროცესი და წინა წლის წარმოდგენილი გეგმის გაგრძელებაა არსებული წარმოდგენილი „სტრატეგიული გეგმა“.

დაწესებულების წარმომადგენლის, კონსტანტინე თოფურიას თქმით, ექსპერტთა რეკომენდაციაა რომ ფორმალიზებული გახდეს მისიისა და ხედვის განახლების ციკლი და უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა რედაქციის ხელმისაწვდომობა (გამოქვეყნება) და ისტორია (თარიღი). უნივერსიტეტი არ იზიარებს ამ რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ არ არის სავალდებულო თარიღისა და ისტორიის გამოქვეყნება უნივერსიტეტის საიტზე. განახლების ციკლი ფორმალიზებული არის იმიტომ, რომ „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ წერია თუ როგორ ხდება და ვის მიერ ხდება ინიცირება. დაწესებულების აზრით, უნივერსიტეტს გააჩნია მეთოდოლოგია თუ როგორ მოხდეს სტრატეგიული გეგმების შემუშავება და მისი დახვეწა. ორგანიზაცია, რომელიც „სტრატეგიულ დაგეგმარებას“ ეწევა შეუძლებელია არ ითვალისწინებდეს წინა წლების „სტრატეგიულ დაგეგმარებას“. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აკეთებს 7 წლიან „სტრატეგიულ დაგეგმარებას“. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ექსპერტთა მიერ რეკომენდირებული იყო რომ შემუშავდეს კვლევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. მისი თქმით, უნივერსიტეტის „სტრატეგიული გეგმა“ შედგება სამი ნაწილისგან - საგანამანათლებლო მიზნები და ამოცანები; კვლევითი - სამეცნიერო და ინსტიტუციური სამეცნიერო. „სტრატეგიულ გეგმაში“ მთელი განყოფილება დათმობილი აქვს კვლევით საქმიანობასა და მის განვითარებას.

საბჭოს წევრმა - ელენე ჟურავლიოვამ დამატებით კითხვით მიმართა ინსტიტუციას თუ რატომ არ აღმოჩნდა მისიაში ნანახი კვლევის კომპონენტი საკმარისი.

დაწესებულების წარმომადგენლის, კონსტანტინე თოფურიას თქმით, ექსპერტთა მოსაზრებით განსაკუთრებით საინტერესოა უნივერსიტეტის ხედვაში მკაფიო გამოხატული მითითება კვლევაზე. ხედვაში მაინც ჩანს, რომ განათლება და კვლევა თანაბარმნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს ხაზს უსვამს ექსპერტთა ჯგუფის რჩევას იმის თაობაზე, რომ კვლევა შეტანილი იყოს მისიის განაცხადში. იგი განმარტავს, რომ მათ აქვთ კვლევითი ინსტიტუტები, რომელებსაც გააჩნიათ საკუთარი დებულებები, მიზნები, სტრატეგია და საკვლევი თემატიკა. უნივერსიტეტის მისიასა და ხედვაში თანაბრად არის ნახსენები კვლევა.

ელენე ჟურავლიოვა კითხვით მიმართა ინსტიტუციას მოხდა თუ არა პროფესორების შეფასება კვლევითი ფორმების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენლის, კონსტანტინე თოფურას თქმით, ექსპერტებმა დაადასტურეს ის, რომ პროფესორების შეფასება მიმდინარეობს კვლევითი ფორმების მიხედვით.

ექსპერტი ია მოსაშვილი ადასტურებს, რომ არის კვლევითი ფორმები, ჩატარებული კვლევა და შესაბამისი ანგარიში. მისი თქმით, ექსპერტებმა ვერ დაინახეს ის თუ როგორ გამოიყენა კვლევის შედეგები დაწესებულებამ განვითარებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის, კონსტანტინე თოფურას თქმით, უნივერსიტეტი, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ეს ნიშნავს იმას, რომ კვლევა ხორციელდება. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის მნიშვნელობაც ის არის, რომ რეკომენდაციების შესრულებაში დარწმუნდეს და შეაფასოს. გი განმარტავს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტს კვლევითი მიმართულებით წარმატებული ნაბიჯები აქვს გადადგმული, რომლის დასტურია წინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია 11 სადოქტორო პროგრამა, დაწესებულების სტრატეგიაში მოცემულია თუ როგორი პროგრამების განხორციელება შეეძლება უნივერსიტეტს. „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ მიხედვით, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს არა აქვთ ვალდებულება რომ ჰქონდეთ ცალკეულად არსებული კვლევითი ინსტიტუტები, მაგრამ ბევრ ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია ცალკე სტრუქტურული ერთეული. ამჟამად უნივერსიტეტში არსებობს 9 სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. სადოქტორო პროგრამაზე სწავლობს 83 სტუდენტი. სკოპუსის ბაზაში არის მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალები შესული, რომელშიც დაწესებულებას აქვს 148 პუბლიკაცია. საქართველოში შპს საქართველოს უნივერსიტეტი მეოთხე ადგილზეა კვლევითი შედეგების მიხედვით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემდეგ.

პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში - სოსო გოგილიძე აღნიშნავს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტში კვლევის ცენტრებად, სადაც სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს ითვლება დეპარტამენტი, კვლევითი ინსტიტუტი და კვლევითი ცენტრი. გარდა ამისა, სპეციალურად შექმნილი არის „საკვლევი სამეცნიერო ინსტიტუტი“. მისი თქმით, ამ ინსტიტუტის ფუნქცია არის სამეცნიერო ერთეულების კოორდინირება, პრიორიტეტების გამოკვეთა, მათთვის ხელშეწყობა და მეცნიერების პოპულარიზაცია, რომელიც ეხება სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს. „კვლევითი ინსტიტუტი“ კი არის დამოუკიდებელი, რომელიც აწარმოებს კვლევით საქმიანობას. ამ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები შეზღუდული არიან ლექციების წაკითხვაში - არაუმეტეს 6 საათისა კვირაში. დეპარტამენტები პირდაპირ არ შეიძლება ჩაითვალოს კვლევით ცენტრებად. ყველა კვლევით დეპარტამენტში არსებობს სამწლიანი კვლევითი პროექტები, რომლებიც მტკიცდება კვლევითი ინსტიტუტის დონეზე. მათი ანგარიშის მოსმენა ხდება ყოველწლიურად.

სოსო გოგილიძე ხაზს უსვამს იმას, რომ თუ დაწესებულებას სურს მეცნიერების მიმართულებით წარმატება ჰქონდეს ამისათვის საჭიროა არა ერთი ადამიანის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა, რომელსაც ავალდებულებს საქართველოს კანონმდებლობა, არამედ საჭიროა შეიქმნას ჯგუფი, რომელსაც ექნება საერთო ინტერესი და ამ მიმართულებით იმუშავენ. მისი თქმით, ამ ინსტიტუტს აქვს შიდა გრანტი, რომელიც არის 1 წლიანი და შესაძლებელია კიდევ გაიზარდოს. კვლევითი ინსტიტუტი კურირებს სადოქტორო სწავლებას. თუ პროფესორი ჩართულია კვლევით პროექტში და მას ექნება კონკრეტული თემა, რომელიც შეიძლება სადოქტორო ნაშრომსაც წარმოადგენდეს, მას წარუდგენს კვლევით ინსტიტუტს, სადაც ხდება რეგენზირება და საბჭოს თანხმობის შემთხვევაში მოცემულ თემაზე მოხდება დოქტორანტურაში ადგილის გამოცხადება. ს პროცესი შესაძლოა წინ უძღოდეს დოქტორანტისა და ხელმძღვანელის კვლევით სამწლიან პროექტს. მისი თქმით, დაწესებულების თანამშრომლებზე, რომლებიც მაღალრეიტინგულ ჟურნალებში აქვეყნებენ სტატიებს გაიცემა პრემია. თუ სამი ავტორი ჰყავს სტატიას, სამივეზე გაიცემა პრემია. პრემიის ოდენობა მერყეობს ჟურნალის რეიტინგის მიხედვით 500-დან 2500 ლარამდე.

დაწესებულების წარმომადგენლის, არჩილ ჯანგირაშვილის თქმით, შპს საქართველოს უნივერსიტეტი პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც დაიწყო უცხოენოვანი პროგრამების განხორციელება. პირი, რომელიც სწავლობს ან სურს ისწავლოს შპს საქართველოს უნივერსიტეტში მათ აქვთ ხელმისაწვდომობა ინგლისურენოვან ინფორმაციას, დოკუმენტებსა და მასალებზე. გარდა ამისა, იმ სტუდენტებს, რომლებიც უკვე სწავლობენ უნივერსიტეტში, აქვთ შექმნილი ბაზა “MY UG”-ი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის პერსონალურ სივრცეს.

საბჭოს წევრი ივანე აბაშიძე აღნიშნავს რომ დასკვნაში, რომელიც ექსპერტებმა წარმოადგინეს მნიშვნელოვანი საკითხებია მოცემული. მისი თქმით, არ უნდა მოხდეს კვლევითი განათლების მეორე ხარისხიდან წარმოჩენა. ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნაში არის საკითხები, რომლის განხილვა მნიშვნელოვანია. მაგალითად, უნივერსიტეტი არ თვლის საჭიროდ რომ შეასრულოს ის რეკომენდაცია, რომელიც ხარისხის კულტურის მეტ განვითარებას ემსახურება და უფრო კონტროლის მექანიზმებით არის წარმოდგენილი. ვანე აბაშიძის თქმით, კონტროლის მექანიზმები საჭირო არის ხარისხის შესანარჩუნებლად, მაგრამ საინტერესოა რატომ გაუჩნდათ ექსპერტებს განცდა რომ განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებები არის საჭირო დაწესებულების მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელი, კონსტანტინე თოფურია განმარტავს, რომ წინა ექსპერტების რეკომენდაცია იყო ინვესტიციის გაკეთება ხარისხის კულტურის გასაუმჯობესებლად. აქ არ იგულისხმება ფულადი ინვესტიცია, არამედ იგულისხმება დროის ინვესტიცია. „ხარისხის კულტურის ერთ რეკომენდაციად ჩამოყალიბება რთულია იმიტომ, რომ სტანდარტი არათუ ეროვნულ დონეზე, არამედ საერთაშორისო დონეზე არ არსებობს.

რჩილ ჯანგირაშვილის თქმით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად უნდა იღებდეს საკმარის მტკიცებულებებს იმისათვის, რომ დროისა და გამოწვევების შესაბამისად იზრუნოს და შექმნას შესაბამისი მექანიზმები, რათა PDCA-ი ციკლი იყოს უზრუნველყოფილი, რომელშიც იქნება ყველა ადამიანი ჩართული. ისი თქმით, ექსპერტები ამას დოკუმენტურად ვერ დაადასტურებდნენ, რადგან დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა მჭედლიშვილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ხარისხის კულტურის ცნებაზე მსჯელობა რთულია. წინა ექსპერტთა ჯგუფმა თვითშეფასების ანგარიშსა და სხვადასხვა ინტერვიუს საფუძველზე შენიშნა, რომ ხარისხის მექანიზმები ეფუძნება კონტროლის სისტემას და არა ხარისხის გაუმჯობესებას. მისი თქმით, დაწესებულებაში დანერგულია ხარისხის არა მარტო კონტროლის, არამედ უზრუნველყოფის მექანიზმები. წინა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა ბოლომდე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილი. რეკომენდაცია არ არის შესრულებული იმას არ ნიშნავს, რომ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არასათანადოდ მუშაობს.

საბჭოს წევრმა ივანე აბაშიძემ დამატებითი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს რამდენად ეთანხმება ინსტიტუციას იმაში, რომ ეს რეკომენდაცია შესასრულებელია.

ის პასუხობს, რომ დაწესებულების გადასაწყვეტია მისიის განაცხადში როგორ ასახავენ ამას. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:29

საბჭოს სხდომა განახლდა: 15:59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79¹ მუხლის მე-13 პუნქტისა და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეწყდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

2. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული

რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა, სალომე ვორონოვმა აღნიშნა, რომ ყველა გაცემული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულია. ვიზიტი განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მისი თქმით, ომბუდსმენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია გადავიდა რჩევის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული იყო 27 რეკომენდაცია. მეტი წილი რეკომენდაციების ეხებოდა კვლევის მენეჯმენტსა და მედიცინის კლინიკური პროგრამის მართვის პოლიტიკის საკითხებს. მისი თქმით, დაწესებულებისთვის რეკომენდაციების შესრულება სირთულე არ აღმოჩნდა. იმისათვის, რომ კვლევას ჰქონდეს გამართული მენეჯმენტი და მხარდაჭერა, დაწესებულებაში მოქმედებს ცალკე მმართველი ორგანო - სამეცნიერო საბჭო, რომელსაც გააჩნია ისეთივე უფლებამოსილება როგორც აკადემიურ საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, გია ლობჯანიძე მიესალმა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მისასაღმებელია დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციების შესრულება. ის აღნიშნავს, რომ კლინიკური მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით გაიზარდა სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა - იყო 22 თუ 23 და გახდა 30. იგი დაინტერესდა რომელი სამედიცინო დაწესებულებები დაემატა. მისი განმარტებით, ყველაზე რთული და სუსტი წერტილი არის კლინიკური უნარების ათვისება სტუდენტის მიერ. მარტო სტატისტიკურად სამედიცინო დაწესებულებების მართვა არ მეტყველებს მის ხარისხზე.

ექსპერტ - სალომე ვორონოვის თქმით, შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებთან:

1. სს „ჯერარსი“;
2. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი;
3. დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრი;
4. შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“;
5. შპს „დავით ტატიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“;
6. შპს „თქვენი კლინიკა“;
7. შპს „ჩვენი კლინიკა + ონკოლოგიური დისპანსერი“;
8. შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა“.

საბჭოს წევრ, გია ლობჯანიძე დაინტერესდა შპს - ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტს საერთო ჯამში რამდენ სამედიცინო დაწესებულებასთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული.

ექსპერტი სალომე ვორონოვი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე ინფორმაცია არ გააჩნია.

გია ლობჯანიძის განმარტებით, სამედიცინო დაწესებულების რაოდენობის გაზრდა არ ნიშნავს კლინიკური უნარების სრულად ათვისებას.

დაწესებულების წარმომადგენელი, გიორგი გაბისონია აღნიშნავს, რომ ახალი დარგობრივი მახასიათებელი დოკუმენტი, რომელიც უახლოეს პერიოდში შევა ძალაში ითვალისწინებს კლინიკურ უნარებსა და მის განვითარებას. მისი თქმით, კლინიკების შერჩევა არ ხდება შემთხვევით. არსებობს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც ახდენს კლინიკების პირველად შეფასებას. ხელშეკრულების დადების შემდეგ კი ხორციელდება ყოველ სემესტრში მონიტორინგი.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია აღნიშნავს, რომ კლინიკებს შეზღუდული აქვთ რამდენიმე ინსტიტუციასთან ხელშეკრულების დადება. მისი თქმით, სამედიცინო დაწესებულების მიერ უნდა მოხდეს მითითება თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია იმ თანაფარდობის დაცვით, რომელიც არის მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:30 საათი

საბჭოს სხდომა განახლდა: 15:45 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

პს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79¹ მუხლის მე-13 პუნქტის და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეწყდეს შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

3. შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ლალი ოდიშვილი. მისი შუამდგომლობა ეხებოდა შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები. შეკითხვების არ არსებობის შედეგად საბჭო გავიდა სათათბირო შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:10 საათი

საბჭოს სხდომა განახლდა: 16:20 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 3 ნოემბრის 16:29 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

